



დამტკიცებულია შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“
და ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“
რექტორების 2023 წლის N3 ბრძანებით

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისა და
ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთობლივი
„გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ სამაგისტრო პროგრამა**

პროგრამის დასახელება	გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური განათლების მეორე საფეხური/ მაგისტრატურა
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა	2 წელი (4 სემესტრი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი/Master of Public Health
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელები	ლელა სტურუა - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია - აფილირებული პროფესორი ვანო ცერცვაძე - ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - პროფესორი

პროგრამის აღწერილობა:

- პროგრამა ეფუძნება საზოგადოების საჭიროებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მოთხოვნებს, რაც გამოიკვეთა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზით. პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე განათლებისათვის დამახასიათებელი მიმართულებების ინტეგრირებაზე.
- პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ გამოცდილებას როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე მის გარეთ, რაც მოიაზრებს პრაქტიკულ მუშაობას სავალდებულო პრაქტიკის ფარგლებში. პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ახორციელებენ კვლევებს, პროგრამებს, იმუშავენ პოლიტიკას. პრაქტიკული სწავლების პერიოდში სტუდენტები განავითარებენ უნარებს ანალიტიკურ და რაოდენობრივ, ლაბორატორიულ მეთოდებში, პრობლემის

იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზების დასახვაში და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებების პრაქტიკულ გამოყენებაში, ამგვარად გაიღრმავებენ ცოდნას და მიიღებენ გამოცდილებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულებით.

- განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის უმეტესობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალებს, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება საზოგადოებრივ ჯანმრთელობის პროგრამების და ინტერვენციების შემუშავების, დაგეგმვის, მართვისა და განხორციელების სფეროში. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსების განმახორციელებელი პედაგოგები წარმოადგენენ ლიდერებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი დისციპლინების და სამეცნიერო კვლევის სფეროებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ სწავლა გააგრძელონ გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- შიდა პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
 - დოკუმენტაციის ანალიზი
 - კანდიდატის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმის ანალიზი, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;
 - პროგრამის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე).
 - გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL, IELTS) ან დასრულებული აქვთ ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე.
 - გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის დარგობრივი ცოდნა.
 - საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) წინასწარ განთავსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ გვერდებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224/ 5 ბრძანებით გათვალისწინებული შემდეგი პირებისთვის:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / 5 ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები, რომლებიც განახორციელებენ პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულებით, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში. ასევე პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტები.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სისტემური და სიდრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტრუმენტების (ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, ქცევითი მეცნიერებები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კომუნიკაცია) გამოყენების გზით.
- გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში განუვითაროს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციისა და რელევანტური დასკვნების შემუშავების უნარები სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებით.
- საკვლევი განაცხადის მომზადებისა და პროექტის შემუშავების, დაგეგმვისა და მართვის უნარები რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ინტერდისციპლინარული სწავლების მეთოდების გამოყენებითა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის საშუალებით .
- მტკიცებულებებზე დამყარებული მიგნებების საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შესაბამისი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უნარი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკისა და პროგრამების შეფასების, შედეგების კომუნიკაციისა და ადვოკატირების უნარები.

პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი:

- სწავლის შედეგი 1 –** სიდრმისეულად განსაზღვრავს ქცევითი, ბიოლოგიური, სოციალური კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.
- სწავლის შედეგი 2 -** სიდრმისეულად განსაზღვრავს და გამოკვეთს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ და სამეცნიერო გზებს.
- სწავლის შედეგი 3 -** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დისციპლინების ჭრილში სისტემურად აღწერს განსხვავებულ მიდგომების ძლიერ და სუსტ მხარეებს.

უნარი:

მაგისტრი:

- სწავლის შედეგი 4 -** ამზადებს კვლევის გეგმას, სისტემურად აანალიზებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ბიოსტატისტიკური, ეპიდემიოლოგიური მეთოდების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
- სწავლის შედეგი 5 -** ფინანსების მართვის პრინციპებზე და თეორიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ადგენს ბიუჯეტს, სისტემურად ახორციელებს დანახარჯების კლასიფიკაციასა და ანალიზს, ახდენს ფინანსურ პროგნოზირებას და არჩევს საუკეთესო ალტერნატივას.
- სწავლის შედეგი 6 -** შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმებს და გეგმავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას, პროგრამას, პროექტს ან ინტერვენციას მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.
- სწავლის შედეგი 7 -** თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინგლისურ ენაზე საკუთარ დასკვნებს არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარადგენს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

მაგისტრი:

- სწავლის შედეგი 8 -** პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ნორმების დაცვით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სწავლის შედეგი 9 -** დამოუკიდებლად აყალიბებს სამომავლო ხედვას, გუნდური მუშაობის პროცესში ახდენს მოვალეობების დელეგირებასა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას და იყენებს ლიდერობის, ხელმძღვანელობისა და მართვის პრინციპებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირი

	პროგრამის მიზნები
--	--------------------------

<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>სისტემური და სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტრუმენტების (ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, ქცევითი მეცნიერებები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კომუნიკაცია) გამოყენების გზით</p>	<p>გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში განუვითაროს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციისა და რელევანტური დასკვნების შემუშავების უნარები სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებით.</p>	<p>საკვლევი განაცხადის მომზადებისა და პროექტის შემუშავების, დაგეგმვისა და მართვის უნარები რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ინტერდისციპლინარულ ი სწავლების მეთოდების გამოყენებითა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის საშუალებით</p>	<p>მტკიცებულებებზე დამყარებულ მიგნებების საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შესაბამისი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უნარი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკისა და პროგრამების შეფასების, შედეგების კომუნიკაციისა და ადვოკატირების უნარები</p>
<p>სწავლის შედეგი 1 – სიღრმისეულად განსაზღვრავს ქცევითი, ბიოლოგიური, სოციალური კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.</p>	<p>x</p>	<p>x</p>		
<p>სწავლის შედეგი 2 – სიღრმისეულად განსაზღვრავს და გამოკვეთს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ და სამეცნიერო გზებს.</p>			<p>x</p>	<p>x</p>
<p>სწავლის შედეგი 3 – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის</p>			<p>x</p>	<p>x</p>

<p>შემუშავების პროცესში სხვადასხვა დისციპლინების ჭრილში სისტემურად აღწერს განსხვავებული მიდგომების ძლიერ და სუსტ მხარეებს.</p>				
<p>სწავლის შედეგი 4 - ამზადებს კვლევის გეგმას, სისტემურად ანალიზებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ბიოსტატისტიკური, ეპიდემიოლოგიური მეთოდების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.</p>	x	x	x	
<p>სწავლის შედეგი 5 - ფინანსების მართვის პრინციპებზე და თეორიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ადგენს ბიუჯეტს, სისტემურად ახორციელებს დანახარჯების კლასიფიკაციასა და ანალიზს, ახდენს ფინანსურ პროგნოზირებას და არჩევს საუკეთესო ალტერნატივას</p>			x	x
<p>სწავლის შედეგი 6 - შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმებს და გეგმავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას, პროგრამას, პროექტს ან</p>			x	x

ინტერვენციას მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.				
<p>სწავლის შედეგი 7 - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინგლისურ ენაზე საკუთარ დასკვნებს არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარადგენს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.</p>	x	x		
<p>სწავლის შედეგი 8 - პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ნორმების დაცვით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.</p>	x	x		x
<p>სწავლის შედეგი 9 - დამოუკიდებლად აყალიბებს სამომავლო ხედვას, გუნდური მუშაობის პროცესში ახდენს მოვალეობების დელეგირებასა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას და იყენებს ლიდერობის, ხელმძღვანელობისა და მართვის პრინციპებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.</p>			x	x

დასაქმების სფერო:

კურსდამთავრებული წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტს, რომელსაც შეეძლება იმუშაოს სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, აკადემიურ დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელ დაწესებულებებში. კარიერული მიმართულებები მოიცავს ეპიდემიოლოგიურ კვლევებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოპოვებაზე ორიენტაციას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის მცირე თუ დიდი მასშტაბის პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას, მართვას, ზედამხედველობას, მონიტორინგსა და შეფასებას, შედეგების კომუნიკაციას და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას, ჯანდაცვის სოციალურ და ქვევით ასპექტებს, ჯანდაცვის პოლიტიკასა და მენეჯმენტს, ბიუჯეტირებასა და ეფექტიანობის შეფასებას.

- ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკის ნაწილში ისწავლება: სტატისტიკური ცნებები და ანალიზის მეთოდები; სტატისტიკური ანალიზის ინსტრუმენტები, დაავადებათა გამომწვევი გარემო ფაქტორები, გარემოს ჯანმრთელობა, ოკუპაციური რისკები, ეპიდემიოლოგიური კვლევის დიზაინი, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, დაავადებათა პრევალენტობისა და ინციდენტობის ინდიკატორები, მონაცემთა შეგროვება და ინტერპრეტაცია, ეპიდემიოლოგიური ანგარიშების კრიტიკული კითხვა და შეფასება.
- ჯანდაცვის სოციალურ და ქვევითი მეცნიერებების ნაწილში ისწავლება ჯანდაცვის სფეროში ქვევის შეცვლის ინტერვენციების ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება, ქვევის შეცვლის სხვადასხვა მოდელები და მათი კომპონენტები;
- ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის ნაწილში ისწავლება: გლობალური ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის პოლიტიკა, ჯანმრთელობის დეტერმინანტები, მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა; პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება. პროექტების მართვა, რომელიც ასევე მოიცავს ოპერაციათა მართვასაც,
- ბიუჯეტირებისა და ეფექტიანობის ნაწილში ისწავლება: ფინანსური მენეჯმენტისა და ბიუჯეტირების საფუძვლები, ხარჯ-ეფექტურობის მიდგომები ჯანდაცვაში.

არჩევითი სასწავლო კომპონენტი მოიცავს გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მრავალფეროვან მიმართულებებს, რომლებიც მაგისტრებს საშუალებას აძლევს პროფესიული ფოკუსირება მოახდინოს საზოგადოებრივ ჯანდაცვის სხვადასხვა პრობლემაზე დაწყებული არაგადამდები და ინფექციური დაავადებების პოლიტიკის მართვით, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ჯანმრთელობის ეკოლოგიური პრობლემებით დამთავრებული.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი და მოიცავს 120 კრედიტს. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს, თითოეული სემესტრის მანძილზე - 30 კრედიტს. აღნიშნული პროგრამისათვის 1 კრედიტი 25 ასტრონომიული საათის ეკვივალენტია.

სასწავლო გეგმა

სტატუსი	საგანი	წინაპირობა	დატვირთვა			სემესტრები			
			ECTS კრედიტი	საკონტაქტო სთ.	დამოუკიდებელი სთ.	I	II	III	IV
საგანმანათლებლო	Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა	წინაპირობის გარეშე	6	32	118	6			
	Statistical analysis in SPSS / სტატისტიკური ანალიზი SPSS-ში	წინაპირობის გარეშე	4	32	68	4			
	Epidemiology / ეპიდემიოლოგია	წინაპირობის გარეშე	6	60	90	6			
	Academic Writing / აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	4	32	68	4			
	Qualitative Research Methods / კვლევის თვისებრივი მეთოდები	წინაპირობის გარეშე	6	30	120	6			

Health information systems / ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები	წინაპირობის გარეშე	4	32	68	4			
Health Policy / ჯანდაცვის პოლიტიკა	წინაპირობის გარეშე	4	30	70		4		
Behavioral science and health education / ქცევათმეცნიერება და ჯანმრთელობის განათლება	Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა; Qualitative Research Methods / კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	32	93		5		
Global Health / გლობალური ჯანმრთელობა	Epidemiology / ეპიდემიოლოგია	5	32	93		5		
Laboratory Practice in Public Health / ლაბორატორიული პრაქტიკის როლი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში	Epidemiology / ეპიდემიოლოგია	4	30	70		4		
Project management / პროექტების მართვა	წინაპირობის გარეშე	4	30	70		4		
Leadership and professionalism / ლიდერობა და პროფესიონალიზმი	წინაპირობის გარეშე	4	42	58		4		
Financial management in public health / ფინანსური მენეჯმენტი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში	წინაპირობის გარეშე	6	45	105			6	
Public Health Ethics and Legislation / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები	Qualitative Research Methods / კვლევის თვისებრივი მეთოდები; Global Health / გლობალური ჯანმრთელობა	4	30	70			4	
Health Economics / ჯანდაცვის ეკონომიკა	Health Policy / ჯანდაცვის პოლიტიკა	4	32	68			4	

	Public health communication and marketing / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომუნიკაცია და მარკეტინგი	წინაპირობის გარეშე	4	32	68			4	
	Practice / სასწავლო პრაქტიკა	I და II სემესტრის ყველა სავალდებულო საგანი	8	147	53			8	
	Master's Thesis / სამაგისტრო ნაშრომი	90 ECTS კრედიტი	30	30	720				30
			112			30	26	26	30
არჩევითი	Maternal and Child health, Reproductive Health / დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა	Epidemiology / ეპიდემიოლოგია Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა	2	16	34		2	2	
	Planetary Health / პლანეტარული ჯანმრთელობა	Global Health / გლობალური ჯანმრთელობა	2	25	25			2	
	Public Health and Non-communicable Diseases / საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და არაგადამდები დაავადებები	Epidemiology / ეპიდემიოლოგია Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა	2	24	26		2	2	
	Public Health and Infectious Diseases / საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ინფექციური დაავადებები	Epidemiology / ეპიდემიოლოგია Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა	2	27	23		2	2	
	Mental health / ფსიქიკური ჯანმრთელობა	Behavioral Science and Health Education / ქცევამეცნიერება და ჯანმრთელობის განათლება	2	33	17			2	
	Substance use prevention, treatment and policy / ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია, მკურნალობა და პოლიტიკა	Health Policy / ჯანდაცვის პოლიტიკა	2	23	27			2	
	Tobacco control / თამბაქოს კონტროლი	Health Policy / ჯანდაცვის პოლიტიკა	2	25	25			2	

Public Health Nutrition / საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და კვების საკითხები	Epidemiology / ეპიდემიოლოგია	2	24	26		2	2	
Public Health and Aging / საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და დაბერება	Epidemiology / ეპიდემიოლოგია	2	24	26		2	2	
Basics of Geographical information Systems / გეოინფორმაციული სისტემების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	2	30	20			2	

სასწავლო კურსები

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილ სწავლის ცხრა შედეგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო სასწავლო კურსებთან, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ დონედ: I, D, M, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს განვითარებას (Development), M აღნიშნავს განმტკიცებას (Master). ასევე, P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე.

კურიკულუმის რუკა

სავალდებულო საგნები	პროგრამის სწავლის შედეგები								
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9
Public Health Statistics / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატისტიკა				IP			IP		
Statistical analysis in SPSS / სტატისტიკური ანალიზი SPSS-ში				IP			IP		
Epidemiology / ეპიდემიოლოგია	IP	I	I	IP			IP		I
Academic writing / აკადემიური წერა				I			I	I	I
Health information systems / ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები				DP		D	DP	D	
Qualitative Research Methods / კვლევის თვისებრივი მეთოდები				DP			DP	D	
Health Policy / ჯანდაცვის პოლიტიკა		IP	IP	IP		IP	IP	IP	
Behavioral science and health education / ქცევათმეცნიერება და ჯანმრთელობის განათლება	DP			DP			DP	DP	DP

Global Health / გლობალური ჯანმრთელობა	DP	DP	DP	DP		DP	DP	DP	
Laboratory Practice in Public Health / ლაბორატორიული პრაქტიკის როლი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში			D	DP		DP	DP		D
Project management / პროექტების მართვა				D	I	DP		D	DP
Leadership and professionalism / ლიდერობა და პროფესიონალიზმი								DP	PM
Financial management in public health / ფინანსური მენეჯმენტი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში		D			M	DP			
Public health communication and marketing / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომუნიკაცია და მარკეტინგი							DP	D	DP
Public Health Ethics and Legislation / საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები							DP	M	PM
Health Economics / ჯანდაცვის ეკონომიკა		D	D		DP				
Practice / სასწავლო პრაქტიკა	DP	DP	DP	M		D	DP	DP	DP
Master's Thesis / სამაგისტრო ნაშრომი	M	M	M	M		M	M	M	M

სწავლების მეთოდები:

სწავლება განხორციელდება ორი ტიპის შეხვედრებით აუდიტორიაში: ლექციების და სემინარების სახით და ასევე სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობით . სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა მოიაზრებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დავალებებს.

გარდა ამისა სწავლება მოიცავს პრაქტიკულ უნარებს და ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენებას. სავალდებულო პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები განავითარებენ უნარებს ანალიტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებში, პრობლემის გადაჭრაში და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დარგების რეალურ სიტუაციაზე მორგებაში. პრაქტიკის დროს პარტნიორ ორგანიზაციებში სტუდენტები იმუშავებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში,

მონაწილეობას მიიღებენ მიმდინარე კვლევებში ან სამომავლო კვლევის დაგეგმვაში, მიიღებენ გამოცდილებას გამოყენებითი კვლევების მიმართულებით.

ლექციები: ლექციები მიზნად ისახავს თემის ძირითადი საკითხების მიმოხილვას. ჩატარდება ინტერაქტიული ფორმით და გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი ვიზუალური საშუალება. ლექციები გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში. ლექციების დეტალები და შინაარსი მრავალფეროვანია და განსხვავდება კურსების მიხედვით.

სემინარები: სემინარები მოიცავს შემდეგ საქმიანობას: ა) ლექციაზე განხილული თემების დეტალიზაცია; ბ) სტუდენტის ჩართულობის ხელშეწყობა; გ) ჯგუფური და ინდივიდუალური პრეზენტაციებისა და საკურსო ნაშრომების საკითხების განხილვა; დ) სტუდენტების სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეფასება. აღნიშნული ხორციელდება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სემინარებზე სტუდენტებს ექნებათ საშუალება უფრო დეტალურად შეისწავლონ კონკრეტული თემა, რომლის გარშემოც მათ შეეძლებათ მომავალში გააკეთონ საკურსო ნაშრომი. ლექტორები დაეხმარებიან სტუდენტებს მასალის გაგებაში, დეტალების დაზუსტებაში. სემინარებზე ხორციელდება სხვადასხვა სახის სტუდენტზე ორიენტირებული ჯგუფური მუშაობა, როგორცაა დისკუსია/დებატები, მიმდინარე თემების განხილვა, პრაქტიკული აქტივობები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა ლექტორთან და სხვა.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მოიცავდეს ლაბორატორიულ სწავლებას და სხვადასხვა სახის მუშაობას, რაც გულისხმობს გასვლას სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, პრობლემაზე ან მოთხოვნაზე დაფუძნებულ სწავლების ტიპებს, რეალური-ცხოვრების პრობლემის ან სცენარის ჯგუფებს, საპროექტო განაცხადს, ელექტრონულ სწავლებას, სტაჟირებას, ნებაყოფლობით საქმიანობას, სამუშაო პროექტებს, მრავალფეროვან და მულტიკულტურულ ღონისძიებებს.

სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტები სტუდენტს მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებითად შეფასდება კურსის დასრულების შემდეგ. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის საშუალებით, **100 ქულიანი სისტემით.**

შუალედური შეფასების ქულა და კომპონენტები, მათი რაოდენობა და კრიტერიუმები საგნების სპეციფიკის მიხედვით განსხვავებულია და შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვართან ერთად ინდივიდუალურად არის გაწერილი სასწავლო სილაბუსებში.

სტუდენტს საგნის გავლის შემდეგ ECTS კრედიტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუკი იგი დასკვნითი გამოცდის დასრულების შემდეგ დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება მერყეობს 41-50 ქულის ფარგლებში, მას ეძლევა უფლება, გავიდეს დამატებით გამოცდაზე. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება 41 ქულაზე ნაკლებია, მან ხელახლა უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სქემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი
41-50 (FX)	უარყოფითი შეფასება: ვერ ჩააბარა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
0-40 (F)	უარყოფითი შეფასება:- ჩაიჭრა;რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ადამიანური რესურსი

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები არიან ექსპერტები სტატისტიკის, ეპიდემიოლოგიის (ქრონიკული დაავადებები და ინფექციური დაავადებები), მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროებში. განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის უმეტესობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულებების პროფესიონალებს, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით პროგრამების შემუშავების,

მართვისა და განხორციელების გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მატერიალური რესურსი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა სივრცე, კერძოდ - სალექციო და სასემინარო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, შესაბამისი ინვენტარით და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, ვირტუალური სწავლების შესაძლებლობები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა, სივრცე სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცეები, არქივი, სანიტარული კვანძები და სხვა.

სტუდენტები შეძლებენ ისარგებლონ თსა-სა და GIPA-ს საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო რესურსებით. თსა-სა და ჯიპა-ში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სამკითხველო დარბაზს და სივრცეებს სტუდენტთა დამოუკიდებელი, ჯგუფური მუშაობისთვის; სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და სხვა საჭირო ტექნიკით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა.

სტუდენტებს წვდომა აქვთ შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე:

- EBSCO;
- JSTOR;
- Cambridge Journals Online,
- eDuke Journals Scholarly Collection,
- Oxford journals Collection,
- BioOne,
- SAGE Premier,
- New England Journal of Medicine,
- Royal Society Journals Collection.
- ChemSpider

- Cochrane Library
- HINARI Research for Health
- ELSEVIER (ScienceDirect, Scopus)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books;
- ImechE Journals;
- Openedition Journals.